

აზროვნების მრავალფეროვნება მმართველობით გადაწყვეტილებაში

ევგენი ბარათაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო, Barata49@mail.ru

ლილა მამულაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი, საქართველო, lmamulashvili@gmail.com

საკვანძო სიტყვები: აზროვნება, მმართველობა; უნარ-ჩვევები; ცოდნა; მენეჯერი

J.E.L. classification: M10, M19

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2021.22.13>

ანოტაცია: აზროვნება ყალიბდება, იცვლება და ვითარდება ცხოველქმედების პროცესში გამოცდილების დაგროვების, განათლების მიღების კვალობაზე პროფესიულ საქმიანობაში. იგი გარკვეულწილად დამოკიდებულია პიროვნების ინდივიდუალურ თავისებურებებზე, თუმცა შეიძლება იცვლებოდეს საკმაოდ ფართო ფარგლებში საგანმანათლებლო პროცესების, გარკვეული ძალისხმევის, სპეციალური ტრენინგების, კრიტიკული სიტუაციების და ჯანმრთლობის მდგომარეობის ზემოქმედებით. თეორიულ აზროვნებას ახასიათებს სწრაფვა აბსტრაქტული განზოგადებისადმი, კანონზომიერებათა ძიებისადმი, თეორიის ჩამოყალიბებისადმი, ობიექტურობის ზოგადი ნიშნების, კვლევის ამა თუ იმ დასკვნებისა და შედეგების განსაზღვრისადმი, დებულებებისა და ფორმულირებების უნივერსალურობისადმი. თეორიული აზროვნება საშიშა სინამდვილისაგან დაშორებით, ისეთი აბსტრაგირებით, რომელიც იწვევს მოვლენის არსის თავისებურებების დაკარგვას, თეორიულ სქემატიზმს ან გაუმართლებელ გლობალიზმს.

ციტირებისთვის: ბარათაშვილი ე., მამულაშვილი ლ., (2021) აზროვნების მრავალფეროვნება მმართველობით გადაწყვეტილებებში. ეკონომიკური პროფილი. №2(22), გვ. 130–137. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2021.22.13>

შესავალი

ადამიანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მის საქმიანობაში არის აზროვნება. აზროვნება არის ადამიანის ცნობიერებაში სინამდვილის ასახვის აქტიური პროცესი, რომელიც ეყრდნობა ცოდნას, ინტუიციას, ჩვევებს, უნარებს და განსაზღვრავს ადამიანის ქცევას კონკრეტულ სიტუაციაში. აზროვნება არამარტო ცოდნის მარაგია,

არამედ ადამიანის უფრო რთული მახასიათებელია. ნებისმიერ შემთხვევაში იგი განსაზღვრავს საქმიანობის წარმატებას.

მენეჯერის საქმიანობა მდგომარეობს ადამიანებთან ურთიერთობაში, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაში. გადაწყვეტილებათა ხარისხი დამოკიდებულია მენეჯერის აზროვნების ხასიათსა და ტიპზე. მენეჯერმა უნდა იმუშაოს არა მხოლოდ ადამიანებთან, არამედ იზრუნოს კიდევ საკუთარი თვისებების განვითარებაზეც, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი აზროვნების პროგრესისათვის.

ძირითადი ტექსტი

აზროვნების მახასიათებლების მიხედვით ყალიბდება გუნდი. ადამიანისათვის ბევრად უფრო მარტივია მუშაობა, თუ არსებობს მათი აზროვნების მახასიათებლების გარკვეული შეჯერება. თანამშრომლებს უფრო კარგად ესმით მენეჯერის, თუ გასაგებია მისი აზროვნების ტიპი და ის ივსება სხვა მომსახურეთა აზროვნების ტიპოლოგიური მახასიათებლებით. გუნდის ფორმირებისას ინდივიდუალური აზროვნების გასავითარებლად და აზროვნების მახასიათებლების გასათვალისწინებლად აუცილებელია ვიცოდეთ აზროვნების რა ტიპები არსებობს. ადამიანის აზროვნება მრავალფეროვანია და ითვლება, რომ არსებობს აზროვნების იმდენი ტიპი რამდენი ადამიანიცაა, რომ აზროვნება აბსოლუტურად ინდივიდუალურია. სწორედ ადამიანის აზროვნებაში ვლინდება მისი პიროვნებისა და ინდივიდუალობის მთავარი თავისებურებები, თუმცა ნებისმიერი მრავალფეროვნება შეიძლება კლასიფიცირდეს გარკვეული სახით. ასეთი კლასიფიკაცია იძლევა არა მარტო მისი მოწესრიგების, არამედ პრაქტიკულ საქმიანობაში აზროვნების ტიპების შესახებ ცოდნის ყველაზე წარმატებით გამოყენების საშუალებას.

აზროვნების ტიპოლოგია არ უარყოფს აზროვნების ტიპებისა და პიროვნებების უსასრულო მრავალფეროვნების არსებობას. იგი საშუალებას გვაძლევს ამ უსასრულობიდან გამოვყოთ ტიპები, რომლებიც გვხვდება ყველაზე ხშირად, ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის საქმიანობაში და განსაზღვრავს მის წარმატებას. აზროვნების ტიპები სხვადასხვა კრიტერიუმებით გამოიყოფა. სწორედ კრიტერიუმების ტიპოლოგიური ანალიზის განსხვავება გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ ინდივიდუალური აზროვნების მახასიათებელთა მრავალფეროვნება.

აზროვნების დინამიკის კრიტერიუმით შეიძლება გამოიყოს შემდეგი ტიპები:

1. დოგმატური - რომელიც მიდრეკილია რომელიმე იდეისადმი მისი აქტუალობის შეფასების გარეშე, იდეის კონცეფციის მთავარ სისტემაწარმომქმნელ ფაქტორად ქცევისაკენ, ამოსავალი იდეის კრიტიკულად გადაფასების სურვილის არქონისაკენ.

2. სტერეოტიპული ანუ გადატანითი, რომელიც დამახასიათებელია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც მიდრეკილნი არიან უკვე მიღებული შაბლონებით აზროვნებისადმი. მათ ეშინიათ დაშორდნენ შაბლონებს, მოხვდნენ გარკვეულ გარემოში და დაკარგონ შეფასების ორიენტირები.

3. მოქნილი ანუ ცვლილების უნარის მქონე მეცნიერების განვითარება. ეფექტური აზროვნების ტიპი ხშირად განიხილება, როგორც ერთგვარი დადებითი მოვლენა, მაგრამ

სინამდვილეში ეს თვისება შეიძლება იყოს, როგორც დადებითი ისე უარყოფითი. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ფაქტორებზე ავლენს ამ თვისებას აზროვნება. ასეთი ფაქტორები შეიძლება იყოს კონიუნქტურულობა, სწრაფვა ძალაუფლებისადმი ნებისმიერ ფასად, უპრინციპობა, ზედაპირული და არამტკიცე ცოდნა. აზროვნების ტიპოლოგიის ერთ-ერთი კრიტერიუმი შეიძლება იყოს აგრეთვე ინდივიდუალობის ხარისხის კრიტერიუმი. აქ შეიძლება გამოიყოს ინდივიდუალიზებული აზროვნება ანუ ისეთი, რომელშიც ყველაზე თვალსაჩინოდ, ზოგჯერ კი მწვავედაც ვლინდება პიროვნების ნიშნები, ინდივიდუალობა და არაორდინალობა. ხშირად სწორედ ეს თვისება თამაშობს დადებით როლს მეცნიერებაში.

მენეჯერის საქმიანობაში დადებითი როლი ასევე შეიძლება ითამაშოს ინდივიდუალიზებულმა აზროვნებამ, თუკი ის შეხამებულია პასუხისმგებლობის განვითარებულ გრძნობასთან და მიმართულია პრობლემების გადაჭრის შემოქმედებითი მიდგომისაკენ. სამწუხაროდ, ყოველთვის ასე არ ხდება. აზროვნების ინდივიდუალიზაცია ზოგჯერ მუშაობს თვითდამკვიდრების ცნობიერებით მანიპულირების სფეროში. აღნიშნული კრიტერიუმით შეიძლება ასევე გამოიყოს აზროვნების ისეთი ტიპი, როგორცაა ტენდენციური აზროვნება. ესაა აზროვნება, რომელიც შეზღუდულია შეფასებათა, მიდგომათა და ვარიანტების შერჩევის რაიმე ტენდენციით. ასეთი ტენდენციები შეიძლება იყოს გამოცდილების ან გაბატონებული იდეოლოგიის და ცოდნის დეფორმირებული სისტემის შედეგიც. (Веснин, 2015:22).

ხშირად ყოველივე ეს ხდება მენეჯერის ვიწრო სპეციალიზაციის დროს. მან რაც იცის, იმის ფარგლებს გარეთ არ შეუძლია არაფრის დანახვა და გათვალისწინება და ამავე დროს არის ცალმხრივიც. ამავე კრიტერიუმის მიხედვით შეიძლება გამოიყოს კოლექტიური აზროვნების ტიპიც, რომელიც რეაგირებს კოლექტიურ აზრზე ან გარკვეული სახით აკუმულირებს კოლექტივის არსებული აზროვნების სხვადასხვა ტიპებზე. აზროვნების ყოველ ტიპს საფუძვლად უდევს განსაზღვრული მეთოდოლოგია, რომელიც გაცნობიერებულად ან გაუცნობიერებლად ყალიბდება როგორც დაგროვილი გამოცდილების გამოხატულება. სხვა შემთხვევაში ის ატარებს გამოცდილების, როგორც პოზიტიურ ისე ნეგატიურ კომპონენტებს. ერთიც და მეორეც ყოველთვის ახასიათებს გამოცდილებას, ამიტომ აუცილებელია მისი კორექტირება და მუდმივად ცოდნით შევსება. (Макаренко, 2007:108).

აზროვნების ერთ-ერთი ტიპი ხასიათდება პრობლემის რაიმე მთავარი ასპექტის ძიებით, რომელიც ყველაზე ძლიერ გავლენას ახდენს ყველა დანარჩენ ასპექტზე. აზროვნების აღნიშნული ტიპი ყველაზე მკაფიოდ ვლინდება იმ შემთხვევაში, როდესაც პრობლემა საკმაოდ რთულია და მთლიანობაში მისი გადაჭრა მეტად ძნელია ან როდესაც არ არის პრობლემის ყველა ასპექტში გადაჭრის აუცილებლობა. ასევე მოქმედებს ძალისხმევის ეკონომიის კანონი. აზროვნების ამ ტიპს გაჩნია გარკვეული ნაკლოვანებებიც, რომელთაგან მთავარია პრობლემის ცალმხრივი აღქმა და სხვადასხვა ასპექტების ურთიერთკავშირის გაუთვალისწინებლობა. იგი საშიშია პრობლემის შესახებ დამახინჯებული, დეფორმირებული წარმოდგენით, რომლის დროსაც იკვეთება ერთი კონკრეტული მხარე და სხვა რჩება ყურადღების გარეშე. უნდა აღინიშნოს, რომ დღეს აზროვნების ყველაზე ეფექტურ ტიპად რჩება სისტემური აზროვნება (ქობლიანიძე და სხვ., 2013:17-24).

სისტემური აზროვნება ითვლება მკვლევარის მეტად ღირებულ თვისებად, რადგან შეფასების და ანალიზის დროს იგი ხელს უწყობს მოვლენის მთლიანად მოცვას, მის კომპონენტებს, თვისებებსა და მახასიათებლებს შორის სხვადასხვაგვარი კავშირების გათვალისწინებას, მთავარი სისტემაწარმომქმნელი ფაქტორის მოძიებას, პრობლემის უხილავი ასპექტების დანახვას და ელემენტთა ქცევის პროგნოზირებას. კვლევის ჩატარების პრაქტიკაში ხდება ისიც, რომ მკვლევარი გატაცებულია რაიმე დეტალით, რომელსაც ის მიჰყავს სხვა მიმართულებით, იქცევა წამყვან იდეად და საბოლოოდ კარგავს არსზე ორიენტირებას. (სვანიძე, 2008:34-54)

აზროვნების კონცეპტუალური ტიპი წარმოადგენს სისტემური ტიპის გარკვეულ მოდიფიკაციას, მის „გამამლიერებელს“ და „სტაბილიზატორს“. კონცეფცია არის აზროვნების საკვანძო დებულებებისა თუ დასახულობების კომპლექსი, რომლის კვლევის მიზანი მიმართულობის შენარჩუნების საშუალებას იძლევა. ესაა თავისებური კომპასი აზრის მოძრაობაში. მართვის სფეროში კვლევებისათვის ასეთი დებულებები შეიძლება იყოს შემდეგი: მართვა მრავალფეროვანი და მრავალვარიანტიანია, ამიტომ არ შეიძლება მისი დაყვანა რომელიმე ერთ-ერთ ვარიანტზე როგორც სრულყოფილად არ უნდა გამოიყურებოდეს იგი.

მართვა აგებულია ჰარმონიისადმი სწრაფვაზე (შეთანხმება, ორგანიზაცია, კოორდინაცია და სხვა), რომელიც წონასწორობის, წინააღმდეგობების და შეხამების ჰარმონიაა. კონცეფცია ასახავს ადამიანის თავისებურ უნარს, კვლევაში გააერთიანოს საკუთარი ცოდნა პროგნოზულთან, ამა თუ იმ მოვლენის არსებულ გაგებასთან, წარმოდგენებთან და ვარაუდებთან პირველი და მეორე რიგი არსის შესახებ (ბარათაშვილი და სხვა 2016:56-78). ნებისმიერი ადამიანის აზროვნებაში მკაფიოდ ვლინდება, როგორც მისი ცოდნის სტრუქტურა, ისე მიდრეკილება ამა თუ იმ სახის ცოდნისადმი, მზადყოფნა მისი იარაღად გამოყენებისადმი. აქედან გამომდინარე აზროვნების ტიპები შეიძლება დაიყოს ცოდნის პრიორიტეტული სფეროების მიხედვით, რომლებზეც აგებულია აზროვნებითი მოღვაწეობა. აქ შეიძლება გამოიყოს ჰუმანიტარული, მათემატიკური და ტექნოკრატიული აზროვნება (ჩინჩალაძე, 2012:64).

ჰუმანიტარული აზროვნება, როგორც წესი უპირატესობას ანიჭებს კვლევის ყველა იმ ასპექტს, რომელიც დაკავშირებულია ადამიანთან და თავის ინსტრუმენტად ირჩევს სიტყვიერ აღწერილობას ოპერირების ცნებებით, არგუმენტირებას სიტუაციებით და ახსნას ქცევის ხასიათით (ხარხელი, ქეშელაშვილი 2013:54).

ჰუმანიტარული აზროვნებისაგან განსხვავებით მათემატიკური აზროვნება აგებულია სიმბოლოების ლოგიკაზე, უკიდურეს აბსტრაქციაზე, დამოკიდებულებათა გააზრებაში მკაფიობაზე და ერთობლიობის მოდელირებაზე. სწორედ ამაშია მათემატიკური აზროვნების სიძლიერე და იმავე დროს სისუსტეც. კერძო დეტალებისაგან მოვლენათა „გაწმენდა“ გვეხმარება მათი არსის განსაზღვრაში, მაგრამ ამ დროს შეიძლება გამოიწვიოს ძალიან მნიშვნელოვანი დეტალების, სპეციფიკური ნიშნებისა და თავისებურებების დაკარგვა. (რობინსი, ჯაჯი, 2003:25-32)

ტექნოკრატიული აზროვნება - აგებულია მოვლენასა თუ პრობლემაში ყველა კავშირის დაყვანაზე ტექნიკურ მოწყობილობებში არსებულ მარტივ მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე. სპეციალური ეკონომიკური პრობლემების შესწავლისას ეს შეიძლება იყოს, არა მხოლოდ

ნაკლებეფექტური, არამედ ცალკეულ შემთხვევებში საშიშიც კი, ვინაიდან ის იწვევს რეალური პროცესების გამარტივებას, კვლევადან გაშუალებული ირიბი, სიტუაციური, პერიოდული, ფუნქციური და სხვა კავშირების გამორიცხვას. გვსურს კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ არ არსებობს აზროვნების კარგი ან ცუდი ტიპები. არის ტიპები, რომელიც ამა თუ იმ პირობებში შეიძლება იყოს მეტ-ნაკლებად ეფექტიანი, რომელთა ჩამოყალიბება თუ გამოყენება შეიძლება რეგულირდებოდეს ჯგუფური საქმიანობის დროს. აბსტრაქტულობისა და განზოგადებულობის ხარისხის მიხედვით შეიძლება გამოიყოს თეორიული, ემპირიული და ფაქტოროლოგიური აზროვნება. (თეხელაშვილი, 2007:56-78).

დასკვნა

თეორიულ აზროვნებას ახასიათებს სწრაფა აბსტრაქტული განზოგადებისადმი, კანონზომიერებათა ძიებისადმი, თეორიის ჩამოყალიბებისადმი, ობიექტურობის ზოგადი ნიშნების, კვლევის ამა თუ იმ დასკვნებისა და შედეგების განსაზღვრისადმი, დებულებებისა და ფორმულირებების უნივერსალურობისადმი. თეორიული აზროვნება საშიშია სინამდვილისაგან დაშორებით, ისეთი აბსტრაგირებით, რომელიც იწვევს მოვლენის არსის თავისებურებების დაკარგვას, თეორიულ სქემატიზმს ან გაუმართლებელ გლობალიზმს.

მნიშვნელოვანია ემპირიული აზროვნებაც, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს გამოცდილებას, განზოგადებას, გამოცდილებით შემოფარგვლას და შეფასებებში ეყრდნობა მხოლოდ გამოცდილების შედეგებს. გამოცდილების არსებობა განიხილება როგორც მტკიცებულებისა და არგუმენტაციის უმაღლესი ფორმა.

აზროვნების ფაქტოროლოგიური ტიპი ვლინდება ფაქტებისა და შეფასებების სისტემატიზებაში, კონკრეტულ ფაქტებზე კვლევისა და დასკვნების მთელი ლოგიკური ჯაჭვის აგებაში. ზოგჯერ ამგვარ აზროვნებას თან სდევს ამა თუ იმ ფაქტის ხელოვნური გაზვიადება მოვლენის არსის დადგენაში ფაქტის როლის არასაკმარისად გაგების გამო. ამ შემთხვევაში თავს იჩენს საფრთხე - მეცნიერული განმარტება ჩანაცვლდეს ფაქტოლოგიით, რომელიც როგორც წესი, შემოიფარგლება არსებული ფაქტებით, მაგრამ ყოველთვის არ უწყობს ხელს ფაქტების ძიებას, ამოცნობასა და ღრმა გააზრებას.

ნებისმიერი მკვლევარის აზროვნება შეიძლება შეფასდეს მექანიზმის ე.ი. იმ საშუალებათა ერთობლიობის პოზიციებიდან, რომლებიც მოქმედებს აზროვნების პროცესში, რომელთა წყალობითაც იბადება იდეები, იგება დასკვნები, აზრები, ჰიპოთეზები, იძებნება არგუმენტები და ხდება მიღებული ცოდნის რეალიზება.

ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე., მარიდაშვილი მ., ბაგრატიონი ლ., მახარაშვილი ი., (2016). მენეჯმენტი. წიგნი I, თბილისი;
2. თეხელაშვილი ს., (2007). ფსიქოლოგიური ენციკლოპედია, თბილისი.
3. სვანიძე ლ., (2008). ლექციები ეკონომიკურ ფსიქოლოგიაში, თბილისი;

4. რობინსი ს., ჯაჯი ტ., (2003). ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები, თბილისი;
5. ჩინჩალაძე მ., (2012). მმართველობითი გადაწყვეტილების ფორმირებისა და ფუნქციონირების მათემატიკური მოდელირების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. დისერტაცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
6. ქობლიანიძე, თ. კოჭლამაზაშვილი, ლ. რიჟამაძე, ქ. (2013). სტრატეგიული მენეჯმენტის თეორიული ასპექტები სასტუმრო ბიზნესში. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი: აკადემიური მაცნე „Grigol Robakidze University. Academic Bulletin“. თბილისი;
7. ხარხელი, მ., ქეშელაშვილი, გ., (2013). მენეჯმენტის საფუძვლები, თბილისი;
8. Веснин В., (2015). Управление человеческими ресурсами, М.;
9. Макаренко О., (2007). Стратегический менеджмент, Организация Стратегического мышления менеджера/ О.Г. Макаренко-Самара изд-во Самар. гос. экон. ун-та.